

თემა 5. სამრეწველო პოლიტიკა

თემის შესწავლის შემდგომ თქვენ შეძლებთ:

- იმსჯელოთ კონკურენციისა და სამრეწველო პოლიტიკის შესახებ
- ახსნათ ნაციონალიზაციისა და პრივატიზაციის მნიშვნელობა
- შეაფასოთ საინვესტიციო გადაწყვეტილებები

კონკურენციის და სამრეწველო პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. წინა თემაში აღვნიშნეთ, რომ რესურსების განთავსება ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, თუ ბაზარი სრულყოფილი კონკურენციისაა. **კონკურენციის პოლიტიკა მიზნად ისახავს იმ საბაზრო ფიასკოს (ჩავარდნის, უუნარობის) ანაზღაურებას, რომელიც მასშტაბის ზრდიდან მიღებული ეკონომიით და მონოპოლიური ძალაუფლებით იქმნება. სამრეწველო პოლიტიკა კი, მიზნად ისახავს დაძლიოს ბაზრის უუნარობის სხვა წყაროები, რომლებიც ჩნდება სანარმოო პროცესებში.**

გამოგონება და საპატენტო სისტემა

ვიცით, რომ თანამედროვე პირობებში ინფორმაციის ფლობას იმდენად დიდი როლი ენიჭება, რომ იგი მიიჩნევა ერთ-ერთ სანარმოო ფაქტორად. გამოგონება - ახალი ინფორმაციის აღმოჩენა სანარმოო პროცესის შესახებ, არის ამ ზოგადი თემის კერძო მაგალითი. ვთქვათ, კომპანია საიდუმლოდ ამზადებს ახალ პროდუქტს, შემდეგ კი ყიდის. თუ სხვა ფირმები ამის შესახებ მალევე შეიტყობენ, კონკურენცია სწრაფადვე დაეპატრონება მოგებას ამ ახალ პროდუქტზე.

გამოგონება საზოგადოებრივი კეთილდღეობის ატრიბუტია. საზოგადოდ, გამომგონებელს არ შეუძლია პირადად აიღოს მოგება, ვიდრე თავიდან არ მოიშორებს მიმბაძველებს. ბაზრის ასეთი უუნარობის დაძლევა შეიძლება საპატენტო სისტემით. ამ სისტემით კანონიერ დროებით მონოპოლიას¹ უპირისპირდება გამომგონებელი, რომელიც რეგისტრაციაში ატარებს ან აპატენტებს გამომგონებას. დროებითი მონოპოლია იძლევა იმის გარანტიას, რომ თუ ახალ აღმოჩენას წარმატება მოჰყვება, გამომგონებელმა შეიძლება აიღოს ნაღდი ფული გამოგონების განხორციელების შემდეგ. ეს წინასწარი ვალდებულება სანდოა.

რატომ არის ლეგალური დროებითი მონოპოლია? სხვა შემთხვევაში წარმატებულ გამომგონებელს შეექმნება ბარიერი, რაც კონკურენციას სამუდამოდ წინ აღუდგება. **წარმატებული საპატენტო სისტემის არსი ის არის, რომ გამომგონებლობას დიდი სტიმული მისცეს, მაგრამ არა ისე დიდი, რომ კონკურენციის ეკონომიკური ეფექტი სამუდამოდ ჩაახშოს.**

„ახალი სამრეწველო ეკონომიკა“ გულისხმობს, რომ ახალი პროდუქტების გამოგონება ან გაუმჯობესება არ არის ჩვეულებრივი პრობლემა განსაკუთრებით სტრატეგიული კონკურენციის პირობებში. მაგალითად, შესაძლებელია, რომ ფირმამ შეიძლება აღმოაჩინოს ახალი სანარმოო პროცესი ან პროდუქტი, დააპატენტოს ის, მაგრამ მის ინტერესებში არ შედიოდეს ამ გამოგონების გასაჯაროება და არ წარადგინოს ბაზარზე. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ სამრეწველო პოლიტიკა და კონკურენციის პოლიტიკა ერთობლივად უნდა მოქმედებდნენ.

კვლევა და განვითარება (R&D). მრავალ ქვეყანაში სამრეწველო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია კვლევისა და განვითარებისთვის (R&D) მხარდაჭერა. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში R&D მოიცავს ეროვნული შემოსავლის 3%-ზე მეტს. აღნიშნული მაჩვენებელი ზოგიერთი ქვეყნის მიხედვით მოცემულია ცხრილში 5.1. როგორც ცხრილიდან ჩანს კვლევასა და განვითარებაზე მშპ-ს %-ული წილით ლიდერობენ ფინეთი და შვედეთი. ევროკავშირი-27-ის საშუალო მაჩვენებელია მშპ-ს 3%. 2010

¹ შენიშვნა: დროებით მონოპოლიად ითვლება კანონით განსაზღვრული დროის მანძილზე ამა თუ იმ პროდუქტის გამოშვებაზე კანონით მინიჭებული განსაკუთრებული უფლება. ამის მაგალითები განსაკუთრებით მრავლადაა სამკურნალო საშუალებების ბაზარზე.

წლისთვის R&D-ზე დანახარჯებმა აშშ-ში შეადგინა მშპ-ს 2,7%, ჩინეთში – 2,08%, იაპონიაში კი – 3,67%².

რატომ უნდა დახარჯონ სახელმწიფოებმა, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ბიზნესგარემო ეფექტიანია, გადასახადების გადამხდელების თანხები R&D-ის მხარდასაჭერად?

საზოგადოდ, დიდი პროექტები შეიძლება ძალიან სარისკო აღმოჩნდეს ცალკეული კომპანიისთვის. მსოფლიოში თვითმფრინავების მწარმოებელი ყველაზე დიდი კორპორაციის „ბოინგის“ ადმინისტრატორი თითოეულ ახალ პროექტს აღწერს, როგორც „კომპანიის რისკს“. ახალი პროექტის ჩავარდნა შეიძლება თავად კომპანიის არსებობას დაემუქროს. ჩვენთვის ასევე ცნობილია საზოგადოების წევრების უმრავლესობის რისკისადმი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ, რაც დიდი კორპორაციების ადმინისტრატორებსაც ეხება. ამის შედეგად კერძო ფირმები, რა თქმა უნდა, აწარმოებენ ნაკლებ R&D-ს, ვიდრე ეს საზოგადოებისთვის არის საჭირო.

ამ მიმართულებით განუვლი სახელმწიფო დანახარჯების გამართლების ორი მიზეზი არსებობს: პირველი, სახელმწიფოს შეუძლია თავი მოუყაროს რისკს თავის პორტფელში პროექტების დიდი რაოდენობის საშუალებით (რაც ერთგვარად ათანაბრებს წარუმატებელი და წარმატებული პროექტებისგან მიღებულ დანახარჯსა და სარგებელს). მეორე, პროექტები რომც არ იყოს წარმატებული, სახელმწიფოს შეუძლია გადაანაწილოს ეს ტვირთი მოსახლეობაზე: ყველა ადამიანის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის 1% ერთი წლის განმავლობაში უფრო დიდ გაჭირვებასაც აანაზღაურებს.

ცხრილი 5.1. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მშპ-ს დანახარჯების წილი კვლევასა და განვითარებაზე (R&D) 2013 წელს³

#	ქვეყანა	მშპ-ს წილი R&D-თვის	#	ქვეყანა	მშპ-ს წილი R&D-თვის
1	ფინეთი	4%	11	იტალია	1,53%
2	შვედეთი	4%	12	ნორვეგია	1,7%
3	დანია	3%	13	შვეიცარია	3,1%
4	გერმანია	3%	14	საბერძნეთი	1,21%
5	ავსტრია	3,76%	15	ბულგარეთი	1,5%
6	სლოვენია	3%	16	ლატვია	1,5%
7	ბელგია	3%	17	რუმინეთი	2%
8	საფრანგეთი	3%	18	ლიტვა	1,9%
9	ესტონეთი	3%	19	ესპანეთი	2%
10	პორტუგალია	2,70%	20	ლუქსემბურგი	2,3%

საპატენტო განაცხადების რაოდენობა ევროკავშირის 28 ქვეყანაში 2005 წელს იყო – 56938, ხოლო 2011 წელს შეადგინა – 54005, რომელთა შორის ყველაზე დიდი რაოდენობა ორივე წელს იყო ბელგიადან⁴ (შენიშვნა: აღნიშნული მაჩვენებლები ზოგადად ახლდება რამდენიმე წლის დაგვიანებით – შემდგენელი ინეზა გაგნიძე).

პატენტი - პატენტის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს მისი გაცემის მომენტისათვის პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებებს⁵ (საქართველოს საპატენტო კანონი, მუხლი 2, პუნქტი ვ).

² http://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_research_and_development_spending

³ [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Gross_domestic_expenditure_on_R%26D_\(R%26D_intensity\),_by_country;_2008_and_2013.png](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Gross_domestic_expenditure_on_R%26D_(R%26D_intensity),_by_country;_2008_and_2013.png)

⁴ http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/images/1/18/Patent_applications_to_the_EPO%2C_2005_and_2011_%281%29_YB14.png

⁵ http://www.sakpatenti.org.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი⁶ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქპატენტი განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკას. საქპატენტის განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართულია იმისათვის, რომ ინტელექტუალური საკუთრების სისტემის მომხმარებლებსა და გამომცხადებლებს, რომელთაც სურთ თავიანთი ინტელექტუალური საკუთრების დაცვა საქართველოსა თუ საზღვარგარეთ, მიენოდოთ ხარისხიანი და ეფექტიანი მომსახურება.

საქართველოში მეცნიერების დაფინანსებას ემსახურება სსიპ **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი** (www.rustaveli.org.ge). ფონდის ძირითადი მიზნებია: საქართველოში სამეცნიერო საქმიანობის განვითარების ფინანსური ხელშეწყობა; ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კვლევითი და ინოვაციური პროექტების დაფინანსება; ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვა; მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა; ქართული აკადემიური წრეების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი საგრანტო პროექტებს აფინანსებს EUROSTAT და OECD-ის კლასიფიკატორების შესაბამისად. ფონდის მიერ ფინანსდება შემდეგი სამეცნიერო მიმართულებები:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
4. აგრარული მეცნიერებები;
5. სოციალური მეცნიერებები;
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები.

დამატებით, მთლიანი წლიური პროგრამული ბიუჯეტის 10%-ის ფარგლებში, ეროვნული სამეცნიერო ფონდი აფინანსებს სამეცნიერო პროექტებს საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებებში.⁷

აღმავალი და დაღმავალი საწარმოები

აღმავალი ეწოდება სამომავლოდ ახლად აღმოცენებად ფირმას, დაღმავალი კი ის ფირმაა, რომელიც გრძელვადიან დაქვეითებას განიცდის.

აღმავალი საწარმოებია ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და გენეტიკის მიმართულებით მომუშავენი. დაღმავალ საწარმოებს ძირითადად მიეკუთვნება დასავლეთის ეკონომიკაში მძიმე მრეწველობის დარგები (მაგ. ფოლადისა და გემთმშენებელი საწარმოები), რომლებიც ამჟამად ქარბი სიმძლავრეებით ხასიათდება.

სახელმწიფოს მხრიდან აღმავალი საწარმოების სუბსიდირების გასამართლებლად **სამი მიზეზი** შეიძლება გამოვყოთ: **პირველი**, შეიძლება ბაზარზე არსებობდეს გარკვეული შეფერხებები ახალი კომპანიებისა და ახალი საწარმოებისთვის სესხების გაცემის თაობაზე. დასაშვებია, რომ ბანკები და სხვა კრედიტორები გაუთვითცნობიერებულნი აღმოჩნდნენ ამ ახალ საქმეში.

მეორე, ბაზარმა შეიძლება ნელა უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგები და უნარ-ჩვევები.

მესამე, შეიძლება არსებობდეს მნიშვნელოვანი დადებითი გარე ეფექტები, როცა ერთმანეთის მსგავსი მწარმოებლები ერთსა და იმავე ადგილზე არიან განთავსებულნი (მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიის ფირმების თავმოყრა „სილიკონ გლენში“ (*Silicon Glen*) შოტლანდიაში ან ბოსტონში 128-ე გზატკეცილზე აშშ-ში).

⁶ <http://www.sakpatenti.org.ge/>

⁷ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდი:

[HTTP://WWW.RUSTAVELI.ORG.GE/GEO/MISIA-MIZNEBI-AMOTSANEBI](http://www.rustaveli.org.ge/gEO/mISIA-mIZNEBI-AMOTSANEBI)

ეს სამი არგუმენტი მიგვიჩვენებს, რომ შესაძლებელია გონივრულ ნაბიჯად იქნეს მიჩნეული აღმავალი საწარმოების დაფინანსება სამრეწველო პოლიტიკის მხრიდან. მაგრამ მაინც ჩნდება გარკვეული შეკითხვები, რომლებზეც დამაკმაყოფილებელი პასუხი უნდა გაეცეს. კერძოდ, რატომ არიან ბაზრები ასე არაინფორმირებულნი? თუ არსებული კრედიტორები ან ინსტრუქტორები ცუდად მუშაობენ, რატომ არ შემოდიან დარგში ახალი ფირმები, რომლებიც უფრო უკეთ გაუძღვებოდნენ საქმეს? და თუ ამ შეკითხვებზე პასუხია, დარგში შესვლის ბარიერების არსებობა, ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ სამრეწველო და კონკურენციის პოლიტიკა ერთმანეთთან ძალიან მჭიდრო კავშირშია.

საქართველოში ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2014 წლის 1 ივნისიდან, ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამა - „აწარმოე საქართველოში“⁸. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს შემდეგ პროგრამებს: 1. ინდუსტრიული მიმართულების კომპონენტი; 2. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი; 3. მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდამჭერი კომპონენტი; 4. პროგრამა „გადაიღე საქართველოში“.

2016 წლის ზაფხულიდან დაიწყო პროგრამა - „მიკრო გრანტები მთის განვითარებისთვის“. მაღალმთიან რეგიონში ბიზნესის წამოწყების მსურველებს შესაძლებლობა ეძლევათ პროექტის საშუალებით, სახელმწიფოს მხრიდან მიიღონ თანადაფინანსება და წამოიწყონ ბიზნესი, რაც ზოგადად მთის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო⁹ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო თავის საქმიანობაში ფოკუსირებულია შექმნას და გაავითაროს ის ინსტრუმენტები, რომელიც ხელს შეუწყოს საქართველოში მდგრადი და ხარისხიანი აქტორებით გაჯერებულ სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებას. ამ მიზნით, ორგანიზაცია დაინტერესებულ მხარეებს და პოტენციურ ბენეფიციარებს სთავაზობს პროდუქტების და სერვისების ერთობლიობას, რომელიც ორიენტირებულია დაეხმაროს ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ პირებსა და სტარტაპებს მანძილი იდეიდან ფუნქციონირებად შემოსავლის მოდელებამდე ჯეროვნად გაიარონ.

მიმდინარე ეტაპზე, მცირე გრანტების პროგრამა, სტარტაპ მეგობრული, სტარტაპ ბიტსი, საერთო სამუშაო სივრცე, ბუთქემფი, ინკუბატორი, იდეების რეესტრი, ტრენინგების პორტალი და IT მხარდამჭერთა რეესტრი პროდუქტებისა და მომსახურებების იმ ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც საკვანძო ინსტრუმენტებია განვითარებული სტარტაპ ეკოსისტემის შესაქმნელად.

ნაციონალიზაცია და პრივატიზაცია

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა შეიძლება მრავალი ფორმით გამოვლინდეს. განვიხილოთ, თუ რამდენად საჭიროა, რომ სახელმწიფო უშუალოდ აკონტროლებდეს მრეწველობის გარკვეულ დარგებს სახელმწიფო საკუთრების მეშვეობით; და პირიქით, თუ წარსულში სახელმწიფო საკუთრება სასურველი იყო, კვლავ უნდა დააბრუნოს, თუ არა მთავრობამ სახელმწიფო სექტორის კორპორაციები კერძო საკუთრებაში?

ნაციონალიზაცია არის სახელმწიფო სექტორის მიერ კერძო კომპანიების შეძენა.

პრივატიზაცია ნიშნავს სახელმწიფო სექტორის კომპანიების მიყიდვას კერძო სექტორისათვის.

მთავრობები საწარმოების ნაციონალიზაციას სამი მიზეზის გამო ახდენენ:

პირველია, ბუნებრივი მონოპოლიის პრობლემა. მასშტაბის დიდი ეფექტი ნიშნავს, რომ ზღვრული დანახარჯი საშუალო დანახარჯზე დაბალია (ანუ, ზღვრული და საშუალო დანახარჯები ორივე კლებადია). ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების მეთოდები წინა თემაში განვიხილეთ და ერთ-ერთი სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირებაცაა.

⁸ განახლებული მონაცემები იხილეთ აქ: <http://www.enterprisegeorgia.gov.ge>

⁹ განახლებული მონაცემები იხილეთ აქ: <http://gita.gov.ge>

მეორე, გარე ეფექტებს შეიძლება მნიშვნელოვანი როლი მიენიჭოს. საზოგადოებრივი სარგებელი კარგი საგზაო და სარკინიგზო ქსელიდან აჭარბებს კერძო სარგებელს, რისთვისაც უშუალო მომხმარებელი მზადაა გადაიხადოს. წინა თემებში ვამტკიცებდით, რომ გადასახადები და სუბსიდიები შეიძლება ზოგჯერ გამოვიყენოთ გარე ეფექტების დასაძლევად და ეფექტიანი განაწილების მისაღწევად. რკინიგზით ან გზატკეცილებით სარგებლობის დაბეგვრა ადმინისტრაციულად რთულია და ძვირი ჯდება, ხოლო პირდაპირი რეგულირება – უკეთესი მიდგომაა.

მესამე, შესაძლებელი ხდება თანასწორობის ან განაწილების მნიშვნელობის გათვალისწინება. კერძო მაღალმომგებიანი რკინიგზა გააუქმებს პერიფერიის მარტივ რკინიგზას, რაც დიდად შეამცირებს დაშორებულ რეგიონებში მოქალაქეთა კეთილდღეობის დონეს. ეს შეიძლება რეგიონული უთანხმოების მიზეზიც აღმოჩნდეს და მისი გამწვავებით საფრთხე დამუქროს ეროვნულ ერთიანობას. მოსახლეობა კვლავ ორი არჩევანის წინაშე დადგება. მას შეუძლია ამკარა ქრთამით ან სუბსიდიებით დაუკვეთოს კერძო მიმწოდებელს უზრუნველყოს ასეთი მომსახურება, ანდა პირდაპირ თავის თავზე აიღოს წარმოება, რათა წარუძღვეს მრეწველობას მთელი ერის ინტერესების გათვალისწინებით. ახლა განვიხილავთ იმ პრინციპებს, რომლითაც უნდა იმართებოდეს ნაციონალიზებული საწარმოები.

საინვესტიციო გადაწყვეტილებები

საზოგადოდ, კაპიტალდაბანდებები მომგებიანია, თუ მოგების ნორმა აჭარბებს სასესხო სარგებლის განაკვეთს. თუ ნაციონალიზებული საწარმოები იყენებენ სასესხო სარგებლის იმავე განაკვეთს, რასაც კერძო ფირმები, ეს გამოიწვევს საინვესტიციო რესურსების არარაციონალურად გამოყენებას კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის: საზოგადოებამ სარგებლის მაღალი განაკვეთის მქონე სექტორში რესურსების გადანაწილებით შეიძლება გაცილებით მაღალი მოგება მიიღოს.

რატომ სურს საზოგადოებას, გამოიყენოს დისკონტირების უფრო დაბალი განაკვეთი სახელმწიფო სექტორის საინვესტიციო პროგრამებში და ამგვარად მათგან მოითხოვოს, გამოიმუშაონ უფრო დაბალი მოგების ნორმა, ვიდრე კერძო სექტორშია? საამისოდ ორი მიზეზი არსებობს:

პირველი - *მაღალი რისკი*. საზოგადოებრივი რისკი შეიძლება შემცირდეს მოსახლეობის დიდ რიცხოვნობაზე მისი გავრცობით. სახელმწიფო სექტორში დამანგრეველი შედეგიც კი შეიძლება დაფინანსდეს დამატებითი ღირებულების გადასახადის მცირე ზრდით, რასაც საშინელი შედეგები თითქმის არ ახლავს. ამრიგად, რისკიანი საწარმოო პროგრამები ნაციონალიზებულ მრეწველობაში არ ითხოვს მოგების ისეთ მაღალ ნორმას, როგორსაც ეს პროგრამები კერძო საწარმოებში საჭიროებენ.

მეორე - *გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ სახელმწიფო პროგრამები არ ცვლის კერძო საინვესტიციო პროგრამებს*. ერთი მხრივ, ცნობილია, რომ სახელმწიფო პროგრამები ფინანსდება დაბეგვრით შემოსული თანხებიდან, რაც იწვევს მომხმარებლის დანახარჯების კლებას, ვინაიდან მცირდება გადახდისშემდგომი შემოსავალი. გადასახადებში გადახდილი თანხები საოჯახო მეურნეობას შეეძლო დაეხარჯა მისთვის საჭირო პროდუქტებისა და მომსახურების შესაძენად. თუმცა, სახელმწიფო პროექტების განხორციელებაზე დახარჯული რესურსების საზოგადოებრივი ალტერნატიული დანახარჯი გადაიქცევა იმ უკუგებად, რომელიც მომხმარებელს იმავე რესურსების გამოყენებით შეეძლო მიეღო (მაგალითად, უფასო განათლება. იგი ქვეყანაში უზრუნველყოფილია აკრეფილი გადასახადების საშუალებით. თუ გადასახადი მოსახლეობისთვის მცირე იქნებოდა, მაშინ განათლების დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან არ განხორციელდებოდა და ინდივიდს მოუწევდა თავისი თანხებით განათლების დანახარჯების დაფარვა).

ამგვარად, სახელმწიფო სექტორმა უნდა იკისროს ზოგიერთი საინვესტიციო პროგრამის განხორციელება, რომლის მოგების ნორმაც ძალიან დაბალი იქნება კერძო სექტორისთვის (მაგალითად, უნივერსიტეტებში ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაფინანსება (მათთვის საჭირო ლაბორატორიების სიძვირის გამო), რაც არ არის მომგებიანი კერძო ინსტიტუტებისთვის და სხვა).


ფასწარმოქმნის გადაწყვეტილებები

თუ ეკონომიკაში რაიმე დამახინჯება არ არის, ნაციონალიზებულმა საწარმომ ფასი უნდა დააწესოს ზღვრული საზოგადოებრივი დანახარჯის დონეზე. მაგალითად, სოფლად რკინიგზის ხაზის ღირებულება ნაკლები უნდა იყოს კერძო ზღვრულ დანახარჯზე, თუ საზოგადოება თვლის, რომ მისაღებია ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესება პერიფერიებში. ამით ერთგვარად ამალღდება მოსახლეობის ეროვნული ინტეგრაციის გრძნობა. ავტობუსის ტარიფი უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოებრივ დანახარჯს (სხვა მიზეზებთან ერთად) გარემოს დაბინძურებისთვის, რასაც ინვესტაციის ნარჩენებით გაჯერებული გამოწვავის გამოწვევები.

განვიხილოთ **ნაციონალიზებულ საწარმოებში ფასწარმოქმნის** ზოგიერთი ასპექტი. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნაციონალიზებულმა საწარმომ ფასები უნდა დაადგინოს საზოგადოებრივი ზღვრული დანახარჯის შესაბამისად. მაგრამ ეს მოკლევადიანი პერიოდის ზღვრული დანახარჯი (SMC) უნდა იყოს, თუ გრძელვადიანი პერიოდის ზღვრული დანახარჯი (LMC)?

მოკლევადიან პერიოდში კაპიტალის და/ან გამოშვების მოცულობა ფიქსირებულია, თუმცა ისინი გრძელვადიან პერიოდში ცვალებადია. ამგვარად, LMC -ში უნდა შედიოდეს აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეების უზრუნველყოფის დანახარჯები. აღნიშნულის გრაფიკულად გამოსახვა მოცემულია ნახაზზე 5.1.

ნახაზზე 5.1 მოცემული მოკლევადიანი პერიოდის ზღვრული დანახარჯი SMC_0 მუდმივია (C ნერტილი), ვიდრე ფირმის გამოშვების მოცულობა მიაღწევს მაქსიმუმს (Q_0), შემდგომ კი ის SMC_0 ხდება ვერტიკალური (იზრდება).



ნახ. 5.1. ფასის განსაზღვრა ზღვრული დანახარჯების მიხედვით

ამგვარად, Q_0 გამოშვებას შეესაბამება SMC_0 მოკლევადიანი პერიოდის ზღვრული დანახარჯები, ხოლო Q_2 გამოშვებას შეესაბამება SMC_2 მოკლევადიანი პერიოდის ზღვრული დანახარჯები. დავუშვათ, SMC_0 ვერტიკალურია და საბაზრო მოთხოვნაა D_1 . მოკლევადიან პერიოდში ეფექტიანი გამოშვებაა Q_1 და ფასი უნდა დაწესდეს C დონეზე. თუ საბაზრო მოთხოვნაა D_2 , მაშინ მოკლევადიანი პერიოდის ზღვრული დანახარჯების შესაბამისად დაწესებული ფასი მიგვიყვანს P_2 -მდე (SMC_0 -ის ვერტიკალურ მონაკვეთზე). გასათვალისწინებელია, რომ ამ პირობებში LMC მოიცავს C_k -ს რაც არის კაპიტალზე დარიცხული სარგებლის ნორმა (პროცენტი). გრძელვადიან პერიოდში პროდუქტის გამოშვების Q_0 -დან Q_2 -მდე გაზრდით, საზოგადოება მიიღებს ABE სამკუთხედის ტოლ საზოგადოებრივ ზღვრულ სარგებელს E ნერტილში. Q_2 გამოშვების პირობებში ფასი არის P_1 და ის მდებარეობს მოკლევადიანი პერიოდის ზღვრული დანახარჯების SMC_2 მრუდზე. ფასწარმოქმნა მოკლევადიანი პერიოდის ზღვრული დანახარჯების საფუძველზე ათანაბრებს ზღვრულ დანახარჯებსა და ზღვრულ

სარგებელს. გრძელვადიან პერიოდში ეფექტიანი საინვესტიციო გადაწყვეტილებით, საწარმოო სიმძლავრე გარანტირებულად ასახავს გრძელვადიანი პერიოდის ზღვრულ დანახარჯებსაც.

ახლა ვხედავთ, თუ როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ფასწარმოქმნა და საინვესტიციო გადაწყვეტილებები. მოკლევადიანი გამოშვება უნდა შეფასდეს SMC-ზე, რომელიც გამოყენებული რესურსების საზოგადოებრივი ალტერნატიული დანახარჯია. მიუხედავად ამისა, გრძელვადიანი პერიოდის გამოშვების მოცულობაში საზოგადოებამ სახსრები უნდა დააბანდოს იმ შემთხვევაში, თუ მომავალი სარგებლის მიმდინარე ღირებულება აჭარბებს ძირითად კაპიტალზე დამატებით დანახარჯს¹⁰. გრძელვადიან პერიოდში განაწილების ეფექტიანობა აღინიშნება E წერტილით, სადაც ზღვრული სარგებელი, SMC და LMC ერთმანეთს ემთხვევა.

ფასწარმოქმნა მაქსიმალური დატვირთვის დროს

საზოგადოდ, კერძო მონოპოლისტი უფრო მაღალ მოგებას მიიღებდა, შესაძლებელი რომ იყოს საფასო დისკრიმინაცია სხვადასხვა ფასის დარიცხვით იმ მომხმარებლებზე, რომელთა მოთხოვნა გარკვეულად ცნობილია. საფასო დისკრიმინაციის პრობლემა არის ის, რომ დაბალი ფასის გადამხდელი მომხმარებელი გადაყიდის პროდუქტს მაღალი ფასის გადამხდელ მომხმარებელზე და ამით ათანაბრებს იმ ფასებს, რომელსაც მომხმარებელი რეალურად იხდის. გადაყიდვა არ დგას პრობლემად იქ, სადაც პროდუქტი არის მომსახურება (მატარებლით მიმოსვლა, ელექტროენერგიით სარგებლობა), რომელიც მოსახმარებლად უკვე გაყიდულია.

ელექტროენერგიის მწარმოებელი აწყდება დიდ პრობლემას საუზმისა და სადილობის დროს. მოთხოვნა ზომიერია დღის დანარჩენ ნაწილში და ძალიან მცირეა გვიან ღამით. პიკის საათებში მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭიროა ახალი ელექტროსადგურების აშენება, რომლებიც დაბალი მოთხოვნის პირობებში ზედმეტია. ამგვარად, გრძელვადიან პერიოდში მეტი და მეტი სადგურის ასაშენებლად საჭირო დანახარჯების გამო, პიკის საათებში მომხმარებლების ელექტროენერგიით მომარაგების ზღვრული დანახარჯი ძალიან მაღალია.

დროითი პერიოდის მიხედვით მომხმარებელი საზოგადოებას თავს ახვევს სხვადასხვა დონის ზღვრულ დანახარჯებს. ამიტომ გონივრულია, პიკურ მოხმარებელს დაერიცხოს უფრო მაღალი ფასი, რაშიც აისახება მათ მიერ ამ პროდუქტის მოხმარების მაღალი ზღვრული დანახარჯები.

მაქსიმალური დატვირთვის ფასწარმოქმნა არის საფასო დისკრიმინაციის სისტემა, როცა მაქსიმალური ანუ პიკური მომხმარებელი უფრო მაღალ ფასს იხდის, რაშიც აისახება მათთვის მიწოდების უფრო მაღალი ზღვრული დანახარჯები.

პიკური დატვირთვის ფასის დადგენას **ორი სასურველი შედეგი ახლავს**: არა მარტო პიკური მომხმარებელი იხდის დაწესებულ მაღალ ზღვრულ დანახარჯებს, არამედ ის მომხმარებელიც, რომელსაც არაფრად მიაჩნია, როდის მოიხმარს ელექტროენერგიას (მაგ. ღამის გამათბობელს გამოიყენებენ არაპიკურ დროს). მთლიანი ყოველდღიური მოხმარების უფრო აშკარა გაფართოებით საზოგადოება შეამცირებს პიკურ მოთხოვნას და ნაკლები რესურსების გამოყენება დასჭირდება ახალი ელექტროსადგურების აშენებას, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება მაქსიმალური მოხმარების მიხედვით.

მაქსიმალური დატვირთვის ფასწარმოქმნა და ორნაწილიანი ტარიფები იგეგმება იმისათვის, რომ ვეცადოთ მივიღოთ ზღვრულ დანახარჯთან რაც შეიძლება მიახლოებული ფასი. ნაციონალიზებული საწარმოების, ანდა პრივატიზებული ბუნებრივი მონოპოლიების განხილვისას აშკარად ჩანს, რომ საფასო დისკრიმინაციის მიზანია, შეამციროს სახელმწიფოს უუნარობა.

ბრიტანეთის ტელეკომის მიერ რეალური ფასის დადგენა ახლოსაა ორივე პრინციპთან: ორნაწილიან ტარიფთან და მაქსიმალური დატვირთვის ფასწარმოქმნასთან. ამ ქვეყანაში შენიშნავთ, რომ ტელეფონით სარგებლობისთვის უბრალოდ მყარად ფიქსირებული გადასახადი არ არსებობს. დღის

¹⁰ ეფექტიანი საინვესტიციო გადაწყვეტილებები გაიხსენეთ: მიკროეკონომიკა, ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ., სახელმძღვანელო, მესამე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, გვ. 353-368.

ნებისმიერ დროს მოკლევადიანი საუბარი უფრო ძვირია, ვიდრე უფრო გრძელვადიანი საუბარი გვიან ღამით. ფასები განსხვავდება ახლო და შორ მანძილზე სატელეფონო საუბრისთვისაც. ასეთი პრაქტიკა ემორჩილება ზღვრული დანახარჯის ცალკე დარიცხვის ზოგადი ეფექტიანობის პრინციპს ანუ ადგილობრივი ზარი უფრო იაფია ვიდრე შორ მანძილზე. ლონდონში, ვალენსიასა და ზოგიერთ სხვა ქალაქში მეტროთი სარგებლობა დამოკიდებულია გასავლელი მანძილის სიდიდეზე, ქალაქის ცენტრთან სიახლოვეზე და სხვა.

არის ასევე საპირისპირო მიდგომა – **ფასწარმოქმნა მინიმალური დატვირთვის დროს**, რომელსაც თბილისის და სხვა ქალაქების რესტორნებსა და კაფეებში ვხვდებით. კერძოდ, შუადღისას, შესვენების საათებში მენიუს ფასი ნახევრდება, ასევე კვირის სამუშაო დღეებში მოქმედებს მრავალი აქცია მომხმარებელთა გარკვეული მინიმალური რაოდენობისთვის. ეს ქმედება ემსახურება პერსონალის შრომის ანაზღაურებისა თუ სხვა სახეობის მუდმივი დანახარჯების მინიმიზაციას.

ნაციონალიზებული მრეწველობის მუშაობის შეფასება

დავუშვათ, მთავრობის პოლიტიკას უამარავი სხვა მაჩვენებელი აქვს თავის განკარგულებაში: საგადასახადო სტიმულები, კერძო საქმიანობის დაფინანსება, კონკურენციის პოლიტიკა, სამრეწველო პოლიტიკა და ა.შ. ყოველივე ამის შესაფასებლად მთავარი კითხვა ძალიან მარტივია: სანარმოები კერძო სექტორში უფრო ეფექტიანი არიან, თუ სახელმწიფო სექტორში?

გახსოვდეთ, რომ ეფექტიანობაში ეკონომისტი ორ რამეს გულისხმობს: პირველი, ფირმები უმცირესი დანახარჯების შესაბამის მრუდზე არიან (რეზერვის და დანაკარგების არარსებობა), მეორე, საქმიანობის ბალანსი ეკონომიკაში პარეტო-ეფექტიანია - რესურსების სხვაგვარად გადანაწილება ვერ აამაღლებს საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

ისმის შეკითხვა - სახელმწიფო, თუ კერძო სექტორში მიაღწევენ ფირმები უმცირესი დანახარჯების მრუდზე ფუნქციონირებას? ბევრი ეკონომისტი ეცადა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას. სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა დარგში ჩატარებული 30 გამოკვლევის შედეგების შეფასების დროს, ჯორჯ იაროუ (*George Yarrow* - ოქსფორდის უნივერსიტეტიდან) მივიდა შემდეგ დასკვნამდე: **კერძო სექტორის ფირმები სახელმწიფო სექტორის ფირმებზე უფრო ეფექტიანი არიან იმის გამო, რომ ორივე მძლავრი კონკურენციის პირობებში ფუნქციონირებს. როცა არ არსებობს ეფექტიანი კონკურენცია, ანდა, როცა ბაზრის ფიასკო ძალიან მნიშვნელოვან მასშტაბებს აღწევს, მაშინ ფაქტები ბუნდოვანია და ეს ზოგჯერ ხელს უწყობს სახელმწიფო სექტორის ფირმების წარმატებას.**

კერძო თუ სახელმწიფო: პრობლემები

ფირმების საქმიანობის ეფექტიანობა მიიღწევა მენეჯმენტის მხრიდან დიდი ძალისხმევითა და გონივრული ხელმძღვანელობით. სახელმწიფო და კერძო სექტორებში მენეჯერების ნახალისების სხვადასხვაგვარი მეთოდები არსებობს.

კერძო სექტორის მენეჯერების ნახალისება. ეკონომიკის თეორიის მიხედვით კერძო მენეჯერების მუშაობას ამონებენ რეალური და პოტენციური აქციების მფლობელები. თუ მენეჯერები ცუდად მართავენ ფირმებს, მათი დირექტორები შეიძლება გამოიწვიონ ოფისიდან აქციონერთა ყოველწლიურ საერთო კრებაზე. მეტიც, თუ საფონდო ბირჟამ არდამაკმაყოფილებელი მართვის დონე შეამჩნია, აქციის კურსი, შესაძლებელზე დაბლა დაინევს და ფირმაზე „მოიერიშე“ გამოიყენებს შესაძლებლობას, შეისყიდოს იგი, ჩამოაყალიბოს უკეთესი მმართველობის სისტემა, გაზარდოს მოგება და, როცა შესაბამისად აინევს აქციის კურსი, კაპიტალის ზრდით მიიღოს მოგება. ეს საშიშროება, ალბათ, გამოაფხიზლებს მენეჯერებს და მოწესრიგებულად აამუშავენ ფირმებს.

პრაქტიკაში ეს საფრთხე სუსტია და ნაკლებად მოსალოდნელი. უპირველესად, ინდივიდუალური აქციონერები აწყდებიან უბილეთო მგზავრების პრობლემას: თუ დანარჩენი აქციონერები აკონტროლებენ მმართველობას, ყველაფერი კარგად იქნება და საგანგაშოც არაფერია. მეორე, კომპანიებზე შეტევა აქციის კურსს მნიშვნელოვნად წევს მაღლა; გარკვეული დროით ხელმძღვანელობას საპა-

სუხისმგებლო მართვის მნიშვნელოვანი რეზერვი აქვს, რასაც გამოიყენებს სანამ გაჭირვებაში ჩავარდება და უმუშევრად დარჩება. და ბოლოს, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მყოფი მმართველები უამრავ ინფორმაციას ფლობენ ფირმის რეალური მდგომარეობის შესახებ, რაც აქციონერებისა და პოტენციური თავდამსხმელებისათვის ხელმისაწვდომი არ არის. ვინაიდან, აქციონერებმა ეს იციან, ცდილობენ მენეჯერების სტიმულირებას, რათა მათ იზრუნონ მოგებასა და დანახარჯების შემცირებაზე. უფროსი აღმასრულებლები დივიდენდებს იღებენ მაღალი სარგებლით.

ამ პირობებში იმის გარანტია არ არსებობს, რომ კერძო მენეჯმენტის პრაქტიკა ეფექტიანი იქნება, სანამ იგი ძლიერი კონკურენციის და კრიტიკის საგანს წარმოადგენს სხვა კონკურენტებისა და ფხიზელი, ამასთან ჯიუტი მომწესრიგებელი ორგანიზაციებისათვის.

იმ პირობებში, როცა კერძო ფირმა დიდია და ამდენად ნაკლებადაა დამოკიდებული ადგილობრივ კონკურენციაზე, მისი წარმოების სექტორი დაცულია იმპორტისა და უცხო კონკურენციისაგან. შედეგად, აუცილებლად შეიქმნება ნიადაგი შედარებით უმოქმედო მონოპოლისტის ჩამოყალიბებისათვის მანამდე, ვიდრე მას არ ეყოლება მარეგულირებლები, რომელთა წინაშეც ანგარიშვალდებული იქნება. ამ მარეგულირებლებს უნდა ჰქონდეთ მარეგულირებლის ტყვეობისადმი წინააღმდეგობის განევის უნარი (იხ. თემა 4).

სახელმწიფო სექტორის მენეჯერების ნახალისება. თუ კერძო სექტორის მენეჯერები ზოგჯერ მაინც აწყდებიან დისციპლინისა და კონტროლის სუსტ საბაზრო მექანიზმს, სახელმწიფო მენეჯერები ამისაგან საერთოდ დაცული არიან. ყველაფერი დამოკიდებულია მთავრობის ეფექტიან მუშაობაზე. პრინციპულად, მთავრობას ამის გაკეთება ისევე ეფექტიანად შეუძლია, როგორც კერძო ბაზრებს. მის პრაქტიკაშია, აგრეთვე, მუშაობისათვის პრემიების დაწესება. ის არც უბილეთო მგზავრების პრობლემას აწყდება. მეორე მხრივ, მის სამოქალაქო მოხელეებს ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესის შეფასებაში, ვიდრე კერძო სექტორის ანალიტიკოსებს, და, რაც მთავარია მთავრობისთვის არსებობს ყოვლისმომცველი პოლიტიკური ცდუნება - შეუტიოს ნაციონალიზებული მრეწველობის დარგებს და გადააქციოს ისინი თავის იარაღად. 1980-იან წლებამდე ნაციონალიზებული მრეწველობის დარგებს ხშირად აიძულებდნენ, დაეკლოთ ფასები ინფლაციის გასაკონტროლებლად, გაედიდებინათ ფასები ხაზინისათვის მოგების გასაზრდელად, აეყვანათ მუშები უმუშევრობის შესამცირებლად და დაეთხოვათ მუშები მთავრობის დანახარჯების დასაზოგად. ეს აიოლებდა ეფექტიან მართვას.

მესაკუთრის მნიშვნელობა. ზემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან ჩანს, რომ საკუთრების გადაცვლება სახელმწიფო სექტორიდან კერძოში თავისთავად დიდად მნიშვნელოვანი საკითხი არ არის. არც სახელმწიფომ და არც კერძო მესაკუთრემ არ იცის მონიტორინგული მართვა. თუ კერძო სექტორში მესაკუთრეობის გადასვლას რაიმე უშუალო სარგებლობა მოაქვს, ესაა რაც ზემოთ აღვნიშნეთ: მთავრობისთვის შედარებით რთულდება მრეწველობის დარგების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის.

მეორე მხრივ, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს კერძო საწარმოები ზემოაღნიშნული დამოკიდებულებისგან მთლიანად დაცულია. მაგალითად, ჩრდილოეთის ზღვაში განლაგებულ ნავთობ-კომპანიებს ხანდახან ბენზინზე უწესებდნენ 90%-ზე მეტ მოგების გადასახადს, ე.ი. იმაზე მაღალს, რასაც ისინი ელოდნენ, როცა ჩრდილოეთის ზღვას პირველად მიაშურეს.

ამრიგად, ეკონომისტთა უმეტესობა იმ აზრისაა, რომ თვითონ საკუთრება არ არის მთავარი საკითხი, უფრო მთავარია საბაზრო კონკურენციის სიმკაცრე, ან მისი შემცველი - კონკურენციის სამთავრობო პოლიტიკა. ვისთანაც არ უნდა იყონ თავშეფარებულნი მონოპოლიები, ისინი მაინც მთვლემარენი და უმოქმედონი ხდებიან. პრივატიზაციის მთავარი შედეგათი ის კი არ არის, რომ საკუთრება კერძო სექტორს გადაეცა, არამედ ის რომ მენეჯერებს აფხიზლებს.

საზოგადოდ, მთავარია იმის ცოდნა, თუ რა მოუვა პრივატიზაციიდან შემოსავალს. თუ ის დაბანდებული აღმოჩნდება ფიზიკურ კაპიტალში სახელმწიფო სექტორისათვის ან გამოყენებული მთავრობის გადაუხდელი ვალის დასაფარად, პრივატიზაციის პრაქტიკა დიანაც - გონივრულია.

მაგრამ თუ მთავრობა შემოსავალს „ჩაიჯიბავს“ გადასახადის შემცირებით, შეიძლება ითქვას, რომ იგი უქმნის ფინანსურ სიძნელეებს მომავალ ხელისუფლებას.

პირითაღი ტერმინები:

კვლევა და განვითარება R&D

დაღმავალი სანარმოები

პატენტი

პრივატიზაცია

აღმავალი სანარმოები

ნაციონალიზაცია

შპკითხვები ბაგეორებისთვის:

1. ისაუბრეთ კვლევისა და განვითარების დაფინანსების შესახებ;
2. განსაზღვრეთ აღმავალი და დაღმავალი სანარმოები;
3. ჩამოთვალეთ ნაციონალიზაციის მიზეზები;
4. ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ ფასის განსაზღვრა ზღვრული დანახარჯების მიხედვით;
5. ახსენით ფასნარმოქმნის მექანიზმი მაქსიმალური დატვირთვის დროს;
6. როგორია კერძო და სახელმწიფო მენეჯერების ნახალისების მეთოდები.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიკა – დ. ბეგი, ს. ფიშერი, რ. დორნბუში, თარგმანი ინგ., თბ. 1999 წ. გვ. 257-266.
2. Economics, Begg D., Fisher S., Dornbusch R., Third Edition, McGRAW-HILL BOOK COMPANY, UK, 1991, p. 312-330.
2. [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Gross_domestic_expenditure_on_R%26D_\(R%26D_intensity\),_by_country;_2008_and_2013.pn](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Gross_domestic_expenditure_on_R%26D_(R%26D_intensity),_by_country;_2008_and_2013.pn)
3. www.rustaveli.org.ge
4. http://www.sakpatenti.org.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=16
5. http://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_research_and_development_spending